

შპს „ჯამური“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2021 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოში ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციაში. 14.12.2010წ, ს/ნ 404881678 კომპანიის იურიდიული საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, მარშალ გელოვანის გამზ., № 2, სარდაფი, კომპანიის 100%- იანი წილის მფლობელია ზურაბ მილაძე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი პ/ნ24001001515. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ავტომანქანის სამალიარო საშუალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

2.1. ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიენოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.2. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ბარალში, როდესაც განეულ იქნა.

2.3. მოგების გადასახადი აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უნევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან, რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან, ვიდრე არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით.

მოგების გადასახადი გაიანგარიშება მუდმივი სხვაობით კორექტირებული სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით. სააღრიცხვო მოგების გადასახადსა და საგადასახადო მოგებას შორის სხვაობა, რომელიც განპირობებულია სააღრიცხვო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი სხვაობებით, აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

2.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ბარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.5. არამატერიალურაქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ბარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.6. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო

გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების მარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების მარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების მარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების მარალის აღიარება. გაუფასურების მარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.7. იჯარა

საანგარიშო პერიოდში საიჯარო ურთიერთობები არ ფიქსირდება. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების მარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან მარალში.

2.10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან მარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.11. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საბანკო სესხები საწარმოს არ უფიქსირდება.

2.12. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

2.12.1 ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ;

2.12.2. შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთის შესაბამისად;

2.12.3. შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვრება 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი -30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხოვრო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 3		
ფული და ფულის ექვივალენტები		
	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული სალაროში	381819	389250.3
ფული საბანკო ანგარიშებზე	476440	241328.8
სულ ჯამი	858259	630579

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ექვივალენტები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 4		
სავაჭრო მოთხოვნები	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები მოწოდებულ და მომსახურებულ	1833163	1245783
სულ ჯამი	1833163	1245783

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
გადახდილი ავანსები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 5		
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		
	31.12.2021	31.12.2020
მოწოდებულზე გადახდილი ავანსები	306234.46	99867.02
წინასწარ გაწეული ხარჯები	34,557	301,069
გადახდილი დღე	435850.47	200462
სულ ჯამი	776642	601398

6. მარაგები

მარაგების ნაშთები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 6		
მარაგები		
	31.12.2021	31.12.2020
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	4948020	4936679
სულ ჯამი	4948020	4936679

7. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 7			
- სხვა ვალდებულებები	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
გადახდილი დღგ		-200462	-117240
გადახდილი აქციები	-19630		
სულ ჯამი	-19630	-200462	-117240

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 8		
სხვა არამატერიალური აქტივები	31.12.2021	31.12.2020
არამატერიალური აქტივები	7211	7211
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-2677	-1595
სულ ჯამი	4535	5616

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 9

ძირითადი საშუალებები	31.12.2020	2021	2021	31.12.2021
----------------------	------------	------	------	------------

	ძირ.საშ.საბალანსო ლირებულება	დარიცხული ცვეთა	დამატებული ძირ.საშ.	ძირ.საშ.საბალანსო ლირებულება
არასასოფლო მიწა	889208		30960	920168
შენობები	465190	10209	19790	474771
ნაგებობები	68957	6056	162	63063
მანქანა-დანადგარები	20747	1846	1667	20567
ოფისის ტექნიკური აღჭურვილობა	12733	379	1805	14159
ავიჯი, ინვენტარი, იარაღები	9466	4775	466	5158
სატრანსპორტო საშუალებები	185273	29228	58679	214723
სულ ჯამი	1651574	52493	82569	1712610

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სავაჭრო ვალდებულებები	31.12.2021	31.12.2020
რაზიდენტი მომ. და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	7060	71407
არარაზიდენტი მომს. და მომს. წარმოქმნილი ვალდებულებები	99114	391,089
მიღებული ავანსები	16.58	0
სულ ჯამი	106,190	462,496

11. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები .

ვალდებულებების და ხარჯები ს ანარიცხები 31.12.2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3537304 ლარი აღრიცხულია როგორც გასანაწილებელი მოგება. 2019 წელს დაემატა 2018-2019-2020 წლის გასანაწილებელი მოგება. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 11

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	31.12.2021	31.12.2020
გადასახდელი პროცენტები	0.00	0
გადასახდელი დივიდენდები	6419841	6394183
სულ ჯამი	6419841	6394183

12. სხვა ვალდებულებები.

სხვა ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 12		
სხვა ვალდებულებები	31.12.2021	31.12.2020
გადავადებული მოგების გადასახადი	26,181	31,652
სულ ჯამი	26181	31652

13. კაპიტალი

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 2010 წლის 14 დეკემბერს, სანესდებო კაპიტალით 865000 (რვაას სამოცდახუთი ათასი) ლარი, ხოლო 2012 წლის თებერვლის თვის გადანაცვებით განისაზღვრა შემცირება 170000 (ას სამოცდაათ ათასი) ლარამდე.

კომპანიის კაპიტალი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 13		
შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი'		
	31.12.2021	31.12.2020
სანესდებო კაპიტალი შპს-ში	170,000	170,000
სულ ჯამი	170000	170000

14. გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 14

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	31.12.2021	31.12.2020
მოგება/ ზარალი		
გაუნაწილებელი მოგება	3,408,834	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	3,028,602	2011811
სულ ჯამი	6437436	2011811

15. სხვა რეზერვები და დაფინანსება

სხვა რეზერვები და დაფინანსება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 15		
სხვა რეზერვები და დაფინანსება		
	31.12.2021	31.12.2020
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	2200	2200
სულ ჯამი	2200	2200

16. საოპერაციო შემოსავლები

საოპერაციო შემოსავლები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 16		
საოპერაციო შემოსავლები	31.12.2021	31.12.2020
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	16637108	12749247
სულ ჯამი	16637108	12749247

17. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 17

სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავალი	31.12.2021	31.12.2020
სხვა საოპერაციო შემოსავალი	24308.73	158587
სულ ჯამი	24308.73	158587

18. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 18		
დასაქმებულთა ანაზღაურება		
	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება	273085.58	250043.65

19. ცვეთა-ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 19		
ცვეთა და ამორტიზაცია	31.12.2021	31.12.2020
ცვეთა და ამორტიზაცია	53575	74251
სულ ჯამი	53575	74251

20. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 20		
	31.12.2021	31.12.2020
საპროცენტო ხარჯები	365	2309
სულ ჯამი	365	2309

21 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 21		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	31.12.2021	31.12.2020
რეალიზ. პროდ. თვითღ. (პრ. მწ. და მომს. სფ. სან.	13191839	10229958
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	70660	45282
კომუნალური ხარჯი	10247	10867
საოფისო ხარჯი	6166	5272
კომუნიკაციის ხარჯი	1924	1375
სამიწვინაგო ხარჯი	16580	14340
განაკის მომსახურების ხარჯები	8693	6805
სხვა საგადასახადო ხარჯი	16929	18742
ძირითადი საშ. მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	13117	15066
საქონლუბტაციო ხარჯები	946	828
სხვა საერთო ხარჯი	3277	3000
სულ ჯამი	13340379	10351535

22. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 22		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
	31.12.2021	31.12.2020
დადებითი საკუროსო სხვაობა	187294	219520
უარყოფითი საკუროსო სხვაობა	-203580	-398886
სულ ჯამი	-16285	-179366

23. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 23		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
უსასყიდლო მოწოდება	31.12.2021	31.12.2020
განსაკუთრებული შემოსავლები	115115	6487
დანაკლისი	7684	15436
მოგების გადასახადი	-24384	
სამონღლის მიწოდება ანაზღაურების გარეშე	-35497	
სამონღლის მიწოდება ანაზღაურების გარეშე	-12042	
სულ ჯამი	50875	21923

24 ,საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი სახითის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2022 წლის 27 სექტემბერს.

შპს „ჯამური“-ს დირექტორი გურაბ მელაძე



შპს "ქამური"

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	858259	630,579
სავაჭრო მოთხოვნები	6	1833163	1,245,783
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	7		99,867
მარაგები	8	4948020	4,937,390
- მზა პროდუქცია			-
- სხვა		4948020	4,937,390
საინვესტიციო ქონება			-
სხვა მიმდინარე აქტივები	9	776642	501,532
ბიოლოგიური აქტივები			-
- თვითღირებულების მოდელით			-
- გადაფასების მოდელით			-
გუდვილი			-
სხვა არამატერიალური აქტივები	10	4535	5,616
ძირითადი საშუალებები	11	1712610	1,651,575
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			-
სხვა გრძელვადიანი აქტივები			-
სულ აქტივები		10,133,229	9,072,342

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			-
სავაჭრო ვალდებულებები	12	106,190	462,496
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		6239138	6,394,183
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	13		-
საგადასახადო ვალდებულებები			-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	14		-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	15		-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			-
მიღებული გრანტები			-
სხვა ვალდებულებები		26181	31,652
სულ ვალდებულებები		6,371,509	6,888,331

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	16	170,000	170,000
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	17	3,589,520	2,011,811
გადაფასების რეზერვი		2,200	2,200
სხვა რეზერვები	18		-
სულ საკუთარი კაპიტალი		3,761,720	2,184,011
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10,133,229	9,072,342

დირექტორი : ზურაბ მილაძე



ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

		საანგარიშგებო პერიოდი 2021	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2020
ნეტო ამონაგები		16,637,108	12,749,247
საქონლის გაყიდვიდან	19	16,637,108	12,749,247
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(13,191,839)	(10,229,958)
საწყისი მარაგები			3,610,756
მარაგების შესყიდვა			(11,556,592)
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			4,937,390
საერთო მოგება		3,445,269	2,519,289

სხვა შემოსავალი	20	24,309	159,347
დასაქმებულთა ანაზღაურება	21	(273,086)	(250,044)
ცვეთა და ამორტიზაცია	22	(53,575)	(74,251)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	23	(365)	(2,309)
იჯარის ხარჯი	24	-	-
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	25	(148,540)	(160,857)
სულ საოპერაციო ხარჯები		(451,256)	(328,113)
საოპერაციო მოგება		2,994,013	2,191,177

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები		-	-
მარაგები		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(16,285)	(179,366)
მიღებული დივიდენდები	26	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		50,875	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	27	3,028,602	2,011,811
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		3028602	2011811

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	0
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0
სხვა	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	3,028,602 2,011,811

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,184,011	172,200
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1631579	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,581,034	2,184,011

დირექტორი : ზურაბ მილაძე




ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2021	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2020
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	279397	-295847
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	279397	-295847
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-51717	-13969
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	630579	940395
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	858259	630579

დირექტორი : ზურაბ მილაძე


